



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 31 2148

16/07/2018

2148-31-4-201807161637



წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ი/მ „იაკობ ჭილაძეს“(ს/კ 53001008646) შორის
გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 12 აპრილის №69
ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 12 აპრილის №69 ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.2. და 10.4 პუნქტების, მე-11 მუხლის 11.3. პუნქტის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 29 მარტის №31 937 ბრძანებით შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურში თანამშრომელთა ჯგუფის 2018 წლის 06 ივლისის №72 სხდომის ოქმის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2018 წლის 12 ივლისის N3861-31 მოხსენებითი ბარათისა და დასკვნის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შეწყვეტილ იქნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ი/მ „იაკობ ჭილაძეს“(ს/კ 53001008646) შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 12 აპრილის №69 ხელშეკრულება 2018 წლის 16 ივლისიდან.

2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უხეში დარღვევის (ნაწილობრივ შესრულების) გამო ი/მ „იაკობ ჭილაძეს“(ს/კ 53001008646) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დაეკისროს ჯარიმის სახით პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით - 127,10 (ას ოცდა შვიდი ლარი და ათი თეთრი) ლარი.

3. ბრძანების ჩაბარებიდან 05 სამუშაო დღის ვადაში პირგასამტეხლო თანხის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში თანხის ამოღება მოხდეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით.

4. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით ეცნობოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

5. ბრძანების ასლი ჩაბარდეს ი/მ „იაკობ ჭილაძეს“(ს/კ 53001008646) .

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ზურაბ მაისურაძეს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
გრიგოლ იოსელიანი



მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია